სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება).

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ

ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობის გარეშე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ორგანიზაციის საპაიო კაპიტალი ფორმირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და მასში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება დოკუმენტურად შეესაბამება მთავარი წიგნის შესაბამისად ანგარიშებზე ასახულ ცვლილებებს.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება					
ბალანსი 31.12.2020	506,580	2,339,423	17,393	1,373	2,864,769
შეძენა	-	93,625	70,001	114,825	278,451
გასვლა	(286,823)	(53)	-	(116,198)	(403,074)
ბალანსი 31.12.2021	219,756	2,432,995	87,394	-	2,740,145
შეძენა	-	3,856	-	-	3,856
გასვლა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	219,756	2,436,851	87,394	-	2,744,001
ცვეთა					
ბალანსი 31.12.2020	(192,159)	(859,682)	(6,259)	-	(1,058,100)
ცვეთა	(32,927)	(236,872)	(9,930)	-	(279,729)
გასვლა	127,527	938	-	-	128,465
ბალანსი 31.12.2021	(97,558)	(1,095,616)	(16,189)	-	(1,209,364)
ცვეთა	(21,925)	(246,891)	(12,216)	-	(281,032)
გასვლა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	(119,483)	(1,342,507)	(28,405)	-	(1,490,396)
ბალანსი 31.12.2020	314,421	1,479,741	11,134	1,373	1,806,669
ბალანსი 31.12.2021	122,198	1,337,379	71,205	-	1,530,782
ბალანსი 31.12.2022	100,273	1,094,344	58,989	-	1,253,605

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად. რომლებიც გაერთიანებულია ჯგუფებში 1 ჯგუფში შედის მსუბუქი ავტომობილების კატეგორია, მე-2 ჯგუფში შედის აღჭურვილობა: ავეჯი ოფისისათვის, ელექტრონული მოწყობილობა, კომპიუტერი, მაღაზიის აღჭურვილობა, სარეკლამო მოწყობილობა და სტენდი, ხოლო მესამე ჯგუფში შედის იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა.

5. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატ. აქტივები	სულ
ღირებულება		
ბალანსი 31-დეკ-20	117,769	1,738,833
შემენა	6,600	296,650
გასვლა	-	(296,650)
ბალანსი 31.12.2021	124,369	1,738,833
შემენა	-	238,475
გასვლა	-	(238,475)
ბალანსი 31.12.2022	124,369	1,738,833
ცვეთა		
ბალანსი 31-დეკ-20	(31,565)	-
შემენა	(8,354)	(296,650)
გასვლა	-	296,650
ბალანსი 31.12.2021	(39,919)	-
ცვეთა	(8,515)	(238,475)
გასვლა	-	238,475
ბალანსი 31.12.2022	(48,434)	-
ბალანსი 31.12.2020	86,203	1,738,833
ბალანსი 31.12.2021	84,449	1,738,833
ბალანსი 31.12.2022	75,935	1,738,833

პროგრამული უზრუნველყოფა: არამატერიალური აქტივი შეადგენს საღრიცხოვო პროგრამა APEX-ს. საღრიცხოვო პროგრამის დანერგვას და შესაბამისად კაპიტალიზაცია დასრულდა 2017 წელს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით 6.67%-იანი განაკვეთით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული იქნა არამატერიალურ აქტივად კომპანია ბრიკო კავკასუსის მხრიდან მიღებული ფრანშიზა. დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ იგი შეფასებული იქნა 346 000 ლარად. 2020 წელს მოცემული არამატერიალური აქტივი აფასდა 1 600 000 ლარამდე, 2021 და 2022 წლის მდგომარეობით კი კომპანიას არ მოუხდენია აქტივის გადაფასება, შედეგად ღირებულება დარჩა უცვლელი.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-22	31-დეკ-21
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან	74,251	117,533
მოთხოვნები იურიდიულ პირებზე მომსახურების გაწევიდან (ადგილობრივი)	1,528	2,668
მოთხოვნები დისტრიბუციის კომპანიებზე საქონლის მიწოდებიდან	23,529	59,417
მოთხოვნები ფიზიკურ პირებზე რეალიზაციიდან	22,621	347
გაცემული ავანსები	121,587	103,481
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	243,517	283,446

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ-22	31-დეკ-21
საქონელი	5,440,441	6,432,729
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,296	8,331
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	5,448,737	6,441,060

მარაგების მთავარი შემადგენელი ნაწილია სარეალიზაციო პროდუქტია.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	13,023	10,975
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	20,155	12,956
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	-	-
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე	5,585	10,068
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	38,762	33,999

9. საწესდებო კაპიტალი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები და დაფინანსება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	5,637,391	(1,888,676)	1,600,000	5,348,715
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	-	-	-	-
პერიოდის მოგება/ზარალი	-	(1,558,207)	-	(1,558,207)
ფრანშიზას აქტივად აღიარება	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	5,637,391	(3,446,883)	1,600,000	3,790,508

კომპანიის კაპიტალი შედგება სამი ნაწილისაგან, 5,637,391 ლარი სააქციო კაპიტალი ნომინალური ღირებულებით, 3,446,883 ლარი დაგროვილი ზარალი, 1,600,000 ლარი სხვა რეზერვები და დაფინანსება. 2022 წელს კომპანიაში პერიოდის ზარამღმა შეადგინა 1,558,207 ლარი, რომელიც წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მიმდინარე პერიოდის (მოგება)/ზარალის სახით. 2022 წელს საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ ყოფილა, გამომდინარე პერიოდის ბოლოს კომპანიის კაპიტალის წმინდა ღირებულება 3,790,508 ლარი იყო.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ადგილობრივი საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	1,296,741	1,710,099
იმპორტირებული საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	402,085	313,778
ვალდებულებები ძირითადი საშუალების შეძენიდან	438	438
სატრანსპორტო მომსახურების მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	83,809	123,038
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	643,239	205,933
არარეზიდენტი პირების მომსახურება	401,072	240,370
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	59,716	43,353
სარეკლამო მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	161,708	121,024
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,048,807	2,758,033

11. სხვა მიმდინარე ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	31-დეკ-22	31-დეკ-21
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	1,179
სსიპ საპენსიო სააგენტო გადასახდელი საპენსიო გადასახადი	27,481	9,978
ხაზინის ერთიანი ანგარიში	76,948	(35,043)
ჩაუთვლელი დღგ	(23,463)	-
ავანსებზე გადახდილი/გადასახდელი დღგ	(6,967)	(11,845)
გადასახდელი ქონების გადასახადი	(2,821)	(1,143)
აქციზის გადასახადი	-	3,203
სულ საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	71,178	(33,670)

ცხრილში წინასწარ გადახდილი გადასახადები ნაჩვენებია როგორც უარყოფითი, ხოლო ვალდებულებებში დადებითი რიცხვით. ქართული საგადასახადო სისტემა საშუალებას იძლევა ნებისმიერი საგადასახადო ვალდებულება კომპესირდეს წინასწარ გადახდილი გადასახადით.

სულ დარიცხული დავალიანება 2022 წლის ბოლოსთვის შეადგეს 71,178 ლარს.

12. შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან

შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	6,578,179	7,447,953
სხვა საოპერაციო შემოსავლები:		
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	18,011	24,948
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	1,886	3,368

შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	3,999	9,485
შემოსავალი რეალიზაციის საკომისიოდან	2,438	3,709
შემოსავალი მიღებული შტრიხკოდებიდან	409	1,681
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	236,283
სულ შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	6,604,923	7,727,426

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
შრომის ანაზღაურება	1,806,788	1,729,133
საიჯარო ქირა	890,469	884,058
რეკლამის ხარჯი	541,585	430,797
ცვეთა და ამორტიზაცია	528,022	583,794
კომუნალური ხარჯები	233,114	190,036
ბანკის საკომისიო	63,603	75,910
მივლინების ხარჯი	31,425	3,651
მომსახურების ხარჯი	25,129	22,494
ტრანსპორტის მომსახურების ხარჯები	2,878	4,721
ტელე-კომუნიკაციის ხარჯები	19,611	24,437
სხვა საერთო ხარჯი	66,750	40,435
სამეურნეო ხარჯი	25,872	17,640
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	18,782	13,200
საწვავის ხარჯი	4,816	5,264
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	8,400	10,200
ფინანსური მომსახურების ხარჯები	12,773	14,037
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	2,858	10,411
ვიზის მოსაკრებელი	539	-
საკანცელარიო ხარჯები	2,953	2,786
წარმომადგენლობითი ხარჯები	994	950
დაცვის მომსახურების ხარჯები	2,124	2,064
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	1,060	277
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,290,543	4,066,297

14. შრომის ანაზღაურების ხარჯი

შრომის ანაზღაურების ხარჯი	2022	2021
ხელფასი ადმინისტრაცია	1,773,863	1,696,642
მომსახურება ფიზიკური პირების	1,339	2,462
საპენსიო	31,585	30,029
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	1,806,788	1,729,133

15. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელსაც მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2022	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	2,739	240,777	243,516
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	38,762	38,762
სულ ფინანსური აქტივები	-	2,739	279,540	282,278
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	-	-	24,816	24,816
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	108,845	25,787	2,914,176	3,048,807
მიღებული ავანსები	-	-	257,259	257,259
გადასახდელი პროცენტი	-	40,094	-	40,094
მოკლევადიანი სესხები	307,386	982,465	276,877	1,566,728
სულ ფინანსური ვალდებულებები	416,231	1,048,345	3,473,127	4,937,703
წმინდა პოზიცია	(416,231)	(1,045,606)	(3,193,588)	(4,655,425)
2021	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	106	283,339	283,445
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	33,999	33,999
სულ ფინანსური აქტივები	-	106	317,338	317,444
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე	-	390,160	302,195	692,355
გრძელვადიანი სესხები	47,859	31,811	2,678,364	2,758,033
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	109,167	109,167
გადასახდელი პროცენტი	-	-	-	-
მოკლევადიანი სესხები	307,386	665,205	265,378	1,237,969
სულ ფინანსური ვალდებულებები	355,245	1,087,176	3,355,104	4,797,524
წმინდა პოზიცია	(355,245)	(1,087,070)	(3,037,766)	(4,480,081)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე.

მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2022	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	243,516	-	-	243,516
ფული და ფულის ექვივალენტები	38,762	-	-	38,762
სულ ფინანსური აქტივები	282,278	-	-	282,278
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	24,816	-	-	24,816
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,048,807	-	-	3,048,807
მიღებული ავანსები	257,259	-	-	257,259
გადასახდელი პროცენტი	40,094	-	-	40,094
მოკლევადიანი სესხები	1,566,728	-	-	1,566,728
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,937,703			4,937,703
წმინდა პოზიცია	(4,655,425)			(4,655,425)
2021	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	283,445	-	-	283,445
ფული და ფულის ექვივალენტები	33,999	-	-	33,999
სულ ფინანსური აქტივები	317,444	-	-	317,444
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	692,355	816	-	692,355
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,758,033	15,426	3,472	2,758,033
მიღებული ავანსები	109,167	1,403	701	109,167
გადასახდელი პროცენტი	-	-	-	-
მოკლევადიანი სესხები	1,237,969	-	-	1,237,969
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,797,524			4,797,524

წმინდა პოზიცია	(4,480,081)	(4,480,081)
----------------	-------------	-------------

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელს მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

		31-დეკ-2021		31-დეკ-2022
	საბალანსო	სამართლიანი	საბალანსო	სამართლიანი
	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება	ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	283,446	283,445	243,517	243,517
ფული და ფულის ექვივალენტები	33,999	33,999	38762	38762
მიღებული ავანსები	109,167	109,167	257,259	257,259
გრძელვადიანი სესხები	692,355	692,355	24,816	24,816
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,758,033	2,758,033	3,048,807	3,048,807
გადასახდელი პროცენტი	-	-	40,094	40,094
მოკლევადიანი სესხები	1,237,969	1,237,969	1,566,728	1,566,728

18. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

სხვა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებული მხარის დასახელება	ოპერაციის შინაარსი	ღირებულება 2022	ღირებულება 2021
შპს ბელუქსი	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	9,239	181,180
შპს ლუკასი	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	3,986	4,665
კომფორტ ჯორჯია	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	2,421	4,648
შპს ბელუქსი	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	160
შპს ბელუქსი პლიუსი	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	438
კომფორტ ჯორჯია	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	5,831	-
ი/მ მამუკა დოლიძე	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	1,042,206	1,034,690
ი/მ მამუკა დოლიძე	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	22,422	-
ი/მ მამუკა დოლიძე	აღებული სესხი შპს ბრიკო კავკასუსის მიერ	1,116,233	-
ი/მ მამუკა დოლიძე	გადასახდელი სესხის პროცენტი შპს ბრიკო კავკასუსის მიერ	42,823	-
ი/მ თეიმურაზ დოლიძე	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	31,024	22,406

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები:

მენეჯმენტის ანაზღაურება	2022	2021
მამუკა დოლიძის ჯამური სახელფასო ხარჯი	225,816	279,324
სულ	225,816	279,324

19. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს უარყოფითი EBITDA, ისევე როგორც წმინდა მოგება და წინა პერიოდთან შედარებით შემცირებული საოპერაციო შემოსავალი.

2023 წლის ივლისში შპს ბრიკო კავკასუს-ში მოხდა დამფუძნებლების ცვლილება. ამავე პერიოდში კრედიტ ნოტის საფუძველზე მოხდა ვალის პატიება და ხელშეკრულების გაწყვეტა „ბრიკორამა სანსთან“, რის შედეგადაც შპს „ბრიკო კავკასუსი“ აღარ ფლობს ფრანშიზას.

ამავე წელს დამფუძნებლების გადაწყვეტილებით შპს „ბრიკო კავკასუსში“ მოხდა კომპანიის სტრატეგიის ცვლილება. ახალი მენეჯმენტი ახალი სტრატეგიებით გეგმავს კომპანიის განვითარებას. დარგის ბიზნესის პერსპექტივა საკმარისად კარგი ჩანს იმისთვის, რომ მენეჯმენტი დავრწმუნდეთ, რომ მუდმივი პრობლემების წარმოშობა არ მოხდება.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 29 ნოემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

2023 წლის ივლისში შპს ბრიკო კავკასუს-ში მოხდა დამფუძნებლების ცვლილება. კერძოდ, მამუკა დოლიძემ საკუთარი 30% იანი წილი გადასცა თემურ დოლიძეს, შესაბამისად თემურ დოლიძე გახდა 81%-იანი წილის მფლობელი, ხოლო თეონა დოლიძე დარჩა 19%-იანი წილის მფლობელად. ამავე პერიოდში კომპანიის დირექტორის პოსტი დატოვა მამუკა დოლიძემ და აღნიშნულ პოზიციაზე დაინიშნა კახაბერ სონიშვილი.

2023 წლის ივლისის მდგომარეობით კრედიტ ნოტის საფუძველზე მოხდა ვალის პატიება და ხელშეკრულების გაწყვეტა „ბრიკორამა სანსთან“, რის შედეგადაც შპს „ბრიკო კავკასუსი“ აღარ ფლობს ფრანშიზას.

ამავე წელს დამფუძნებლების გადაწყვეტილებით შპს „ბრიკო კავკასუსში“ მოხდა კომპანიის სტრატეგიის ცვლილება, რის შესაბამისადაც კომპანია გადადის ახალ ფორმატზე, ბრიკორამა უარს აცხადებს კლასიკური “DIY”-ს ფორმატზე და დაგეგმილი აქვს რებრენდიგის, რეალიზაციიდან იღებს მძიმე სამშენებლო მასალებს და კონცენტრაციას აკეთებს რემონტის შემდგომ სახლისთვის და ეზოსთვის საჭირო პროდუქციაზე, მათ შორის მოხდება ავეჯის კატეგორიის დამატება.



ხელმძღვანელობის ანგარიში - საქმიანობის მიმოხილვა, 2022 წ

ხელმძღვანელობა წარმოადგენს წინამდებარე ხელმძღვანელობის ანგარიშს და შპს „ბრიკო კავკასუსის“ (შემდგომში - „კომპანია“) აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბრიკო კავკასუს“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), ს/ნ 405067494.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაშლიჯვარი, მეზღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის მიმდებარედ.

31.12.2022 წლის მდგომარეობით კომპანიის დირექტორია მამუკა დოლიძე პ/ნ 01008001378, ხოლო კომპანიის მფლობელობის წილები განაწილებულია შემდეგნაირად: წილის 51%-ს ფლობს თეიმურაზ დოლიძე (პ/ნ 01008001285), წილის 19%-ს ფლობს თეონა დოლიძე (პ/ნ 01008001286), დარჩენილ 30%-ს კი მამუკა დოლიძე (პ/ნ 01008001378).

2016 წლის 15 სექტემბერს გაიხსნა ჰიპერმარკეტი რომელშიდაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების და საყოფაცხოვრებო საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა, იგი გაყიდვებს ახორციელებს ერთი ჰიპერმარკეტის ტიპის მაღაზიის მეშვეობით და „ბრიკო კავკასუსის“ სავაჭრო ნიშნის სახელწოდებით. „თვითმომსახურების“ ტიპის მაღაზიების ქსელის საშუალებით, სავაჭრო ნიშანი „ბრიკო კავკასუსის“ შეიქმნა საფრანგეთში და რეკლამირებულ იქნა ადგილობრივად. კომპანიის შიდა პოლიტიკა, პროცედურები და მარკეტინგული საქმიანობა ვითარდება კომპანიის ფარგლებში.

ვაჭრობის თვალსაზრისით, კომპანია კონცენტრირდება შემდეგი ოთხი მიმართულებით პროდუქციის რეალიზაციაზე: მშენებლობა, რემონტი, დეკორაცია და ეზო.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მდგომარეობით კომპანიამ შეცვალა სტრატეგია, მან გაწყვიტა ურთიერთობა ბრიკო საფრანგეთთან და აღარ სარგებლობს ბრიკო საფრანგეთის ფრანჩიზას ლიცენზიით. აღსანიშნავია ასევე, რომ 2023 წელს კომპანიაში მოხდა რეორგანიზაცია, 2023 წლის 17 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ამონაწერში (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23101876) შეიცვალა კომპანიის მესაკუთრეთა წილი და დირექტორი. კომპანიის მფლობელთა წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: წილის 81%-ს ფლობს თეიმურაზ დოლიძე (პ/ნ 01008001285), დარჩენილი წილს 19%-ს ფლობს თეონა დოლიძე (პ/ნ 01008001286). ამავე ამონაწერის მიხედვით დირექტორი არის კახაბერ სონიშვილი.

კომპანიის მიმდინარე მდგომარეობის, სამომავლო მოვლენებისა და საქმიანობის მიმოხილვა

2022 წლის ფინანსური შედეგები და მდგომარეობა, როგორც ეს წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, წინა წლებთან შედარებით გაუარესებულია. თუმცა კომპანიაში 2023 წლის მდგომარეობით მიმდინარეობს კომპანიის სტრატეგიის ცვლილება, რის შესაბამისადაც კომპანია გადადის ბიზნესის ახალ ფორმატზე. ბრიკო კავკასუსმა უარი განაცხადა კლასიკური „DIY“-ს ფორმატზე, დაგეგმილი აქვს რებრენდინგი, რეალიზაციიდან იღებს მძიმე სამშენებლო მასალებს და კონცენტრაციას აკეთებს რემონტის შემდგომ სახლისთვის და ეზოსთვის საჭირო პროდუქციაზე, მათ შორის მოხდება ახალი მიმართულების ავეჯის კატეგორიის დამატება.

2022 და 2021 წლის განმავლობაში კომპანიის ფინანსური მდგომარეობა იყო შემდეგი:

	2022	2021
შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	6,578,179	7,447,953
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,094,963)	(4,472,131)
საერთო მოგება	2,483,217	2,975,822
სხვა საოპერაციო შემოსავალი	26,743	279,473
ცვეთა და ამორტიზაცია	(528,022)	(583,794)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,762,521)	(3,482,502)
საოპერაციო მოგება	(1,780,583)	(811,001)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10,453	63,349
შემოსავალი/ზარალი საკურსო სხვაობიდან	409,292	192,753
საპროცენტო ხარჯები	(180,797)	(153,396)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(12,729)	(163,035)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(1,554,365)	(871,330)
მოგების გადასახადის ხარჯი	(3,842)	(2,179)
წმინდა მოგება	(1,558,207)	(873,509)

მთლიანი მოგების კლება წინა პერიოდთან შედარებით ძირითადად ხარჯების ზრდამ და რეალიზაციის შემცირებამ გამოიწვია, ასევე გასათვალისწინებელია ბაზარზე არსებული მზარდი კონკურენცია და წინა პერიოდის, კერძოდ კოვიდ პანდემიისგან გამოწვეული კრიზისი, რამაც დიდი გავლენა იქონია კომპანიის მიზნების შესრულებასა თუ კომპანიის განვითარებაზე.

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები, ურთიერთობა თანამშრომლებთან:

კომპანიის მიერ დასაქმებული პირების საშუალო რაოდენობა 2022 წლის განმავლობაში შეადგენდა 74 ადამიანს (2021 წელს: 113 ადამიანს). ხელმძღვანელობას დანერგილი აქვს პოლიტიკა და პროცედურები ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს თითოეულ თანამშრომელს კომპანიაში შესვლისთანავე ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და მას ჩაუტარდეს შესაბამისი პრაქტიკული მომზადება, ტრენინგი და შემდგომი სწავლება. კომპანიამ ასევე შეიმუშავა ქცევის კოდექსი, რომელიც სავალდებულოა და რომელსაც ასრულებს ყველა თანამშრომელი. ქცევის კოდექსი ეხება ქცევით და ეთიკურ საკითხებს სამუშაო ძალის ფარგლებში.

ურთიერთობა მიმწოდებლებთან:

მისი დაარსებიდან დღემდე, კომპანიამ შეიმუშავა სანდო ურთიერთობა თავის ყველა მიმწოდებელთან, რაც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: სამართლიანი, გასაგები და დროული ფინანსური ანგარიშსწორების სისტემა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდახმარება.

კომპანია ახდენს საქონლის იმპორტს შემდეგი ქვეყნებიდან - ევროკავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოებიდან, თურქეთი და აზიის სახელმწიფოებიდან.

ურთიერთობა მომხმარებლებთან:

მისი პირველი ჰიპერმარკეტის გახსნის დღიდან, კომპანია იქცა სასურველ ბაზრად სამშენებლო და საყოფაცხოვრებო პროდუქტების თვალსაზრისით, კომპანიის მთავარი პრიორიტეტია კმაყოფილი მომხმარებელი, ამიტომ სამშენებლო და საყოფაცხოვრებო პროდუქტების თვალსაზრისით, სთავაზობს რა თავის მომხმარებელს განსაკუთრებულ საცალო გამოცდილებას, მუდმივად ცდილობს გაზარდოს და არეგულირებს მისი პროდუქციის ფართო ასორტიმენტი, ასევე

უზრუნველყოფს შესაბამის მაღალი ხარისხის მომსახურებას. ამჟამად კომპანია ემსახურება მომხმარებლებს საქართველოს ყველა რეგიონიდან.

ურთიერთობა პარტნიორებთან/აქციონერებთან და საგადასახადო ორგანოებთან:

კომპანიას გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული ფინანსური განყოფილება, დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით. ყოველივე აღნიშნული, ეფექტიან პოლიტიკასა და პროცედურებთან ერთად სააღრიცხვო ფუნქციის შესრულებისას, საშუალებას აძლევს კომპანიას დროულად და ხარისხიანად წარუდგინოს ანგარიში ყველა დაინტერესებულ მხარეს: ხელმძღვანელობას, სამეთვალყურეო საბჭოს, კომპანიის პარტნიორებსა და საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლებს. ხელმძღვანელობას აქვს კომპანიის ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგება, რომელიც აუდირებულია სათანადო რეპუტაციის მქონე საერთაშორისო დამოუკიდებელი აუდიტის კომპანიების მიერ. კომპანიას არ აქვს საგადასახადო ორგანოსთან დავების ისტორია, ასევე რაიმე მნიშვნელოვანი ჯარიმა და / ან პირგასამტხოლო.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი - კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მეორე მხარის ფინანსურ ზარალს გამოიწვევს, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წლის მდგომარეობით მნიშვნელოვნად გაზრდილია მიმდინარე ვალდებულებები და შემცირებული მიმდინარე აქტივები, ასევე წინა წელთან შედარებით გაიზარდა საოპერაციო პერიოდის ზარალი. შედეგად 2022 წლის ფინანსური მონაცემები გაუარესებულია 2021 წლის მონაცემებთან შედარებით, რითაც კომპანიის ბიზნეს გარემო შედარებით მაღალი რისკის მატარებელია.

კონკურენცია, რისკები, გამკლავების გზები - ამ სექტორისათვის დამახასიათებელია ძლიერი კონკურენცია რასაც განაპირობებს ბაზარზე მრავალი მცირე საშუალო თუ დიდი კომპანიების არსებობა, რომლებიც მომხმარებელს სთავაზობენ ანალოგიური მახასიათებლების პროდუქციასა თუ მომსახურებას. კონკურენტებთან გამკლავებისთვის კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს პროდუქციის მაღალი ხარისხი და დაბალი ფასი, დაამყაროს მომხმარებლებთან სანდო ურთიერთობა.

კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: (1) საქონლის კონკურენტუნარიანი ფასი; (2) მაღალი ხარისხის პროდუქცია; (3) კომპანიის სტაბილურობა, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვანია მომხმარებლის ნდობის შესანარჩუნებლად და სხვა...

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებში შედის სესხები და ნასესხები სახსრები, საგადასახადო დავალიანება, კრედიტორული და სხვა სახის დავალიანებები. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია სხვადასხვა ფინანსური აქტივები, როგორცაა დებიტორული და სხვა დავალიანება და ფული და ფულის ექვივალენტები.

	31-დეკ-22	31-დეკ-21
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,253,605	1,530,782
არამატერიალური აქტივები	1,814,768	1,823,283
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,068,374	3,354,064
მიმდინარე აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	243,517	283,446
საგადასახადო აქტივი	-	33,670
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5,448,737	6,441,060
ფული და ფულის ექვივალენტები	38,762	33,999
სულ მიმდინარე აქტივები	5,731,016	6,792,175

სულ აქტივები	8,799,390	10,146,240
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	5,637,391	5,637,391
გაუნაწილებელი მოგება	(3,446,883)	(1,888,676)
სხვა რეზერვები და დაფინანსება	1,600,000	1,600,000
სულ კაპიტალი	3,790,508	5,348,715
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	24,816	692,355
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	24,816	692,355
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,048,807	2,758,033
მიღებული ავანსები	257,259	109,167
საგადასახადო ვალდებულებები	71,178	-
გადასახდელი პროცენტი	40,094	-
მოკლევადიანი სესხები	1,566,728	1,237,969
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4,984,066	4,105,169
სულ ვალდებულებები	5,008,881	4,797,524
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	8,799,390	10,146,240

საბაზრო რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) საპროცენტო განაკვეთებში და (გ) კაპიტალის პროდუქტებში, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა ლიმიტები მისაღები რისკის მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამგვარი მიდგომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ლიმიტების გარეთ ზარალის თავიდან აცილებას, არსებითი ცვლილებების შემთხვევაში ბაზარზე.

უცხოური სავალუტო რისკი. კომპანია ასრულებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტებში. კომპანიის მიერ მკაცრად კონტროლდება სავალუტო რისკი, რათა მისმა რეცეპტმა არ გამოიწვიოს ფინანსური ზიანი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დაქვემდებარებულობა საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის ზემოქმედებაზე, რაც გამოიხატება საპროცენტო თანხების ზრდით მოზიდული სახსრების მიმართ ან გამოყოფილი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. კომპანიას არ აქვს დანერგილი ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების სამართავად, ვინაიდან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არსებული გარემოებებიდან გამომდინარე აღნიშნული რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისთვის. თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკვირდება განაკვეთთან არსებულ რისკს, ზომავს მას და საჭიროების შემთხვევაში მზად არის შეიმუშაოს და დანერგოს ფორმალური პოლიტიკა.

არა-ფინანსური რისკები. კომპანიის წინაშე არსებული არა-ფინანსური რისკები და გაურკვევლობები ასახავს ქვეყანაში არსებულ ზოგად ეკონომიკურ სიტუაციას, მშპ-ს ზრდას და ინფლაციის მაჩვენებელს, ასევე გაურკვევლობებს ხელისუფლების მიერ ახალი რეგულაციების შემუშავებასთან, მათ დამტკიცებასა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს ხანმოკლე ვადების განსაზღვრას ბიზნესისთვის აღნიშნული ახალი რეგულაციებისთვის მოსამზადებლად.

კვლევა და განვითარება

კომპანია ასრულებს კვლევას და განვითარებას, როგორც კომპანიის შიდა ასევე გარე რესურსით. აღნიშნული მოიცავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების, საბაზრო კამპანიების, ბაზრის კვლევებს სხვადასხვა ქრილში, პროდუქციის ნომენკლატურის წარმოების, მომსახურების მიმოხილვის, პროგნოზების, მიზანშეწონილობის კვლევების განვითარებას და დანერგვას ახალი მაღაზიების გახსნისა და სხვა საქმიანობისთვის, რაც მზადდება, როგორც კომპანიის ფარგლებში სხვადასხვა უფლებამოსილი პირების / დეპარტამენტების მჭიდრო თანამშრომლობით ასევე „აუთსორსინგით“.

სამომავლო გეგმები და სამოქმედო გეგმა

2023 წლის მდგომარეობით მიმდინარეობს კომპანიის სტრატეგიის ცვლილება, რის შესაბამისადაც კომპანია გადადის ბიზნესის ახალ ფორმატზე. ბრიკო კავკასუსს დაგეგმილი აქვს რებრენდინგი, რეალიზაციიდან იღებს მძიმე სამშენებლო მასალებს და კონცენტრაციას აკეთებს რემონტის შემდგომ სახლისთვის და ეზოსთვის საჭირო პროდუქციაზე, მათ შორის მოხდება ახალი მიმართულების ეზოს ავეჯის კატეგორიის დამატება.

ხელმოწერილია

კახაბერ სონიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

2023 წლის 29 ნოემბერი

კვლევა და განვითარება

კომპანია ასრულებს კვლევას და განვითარებას, როგორც კომპანიის შიდა ასევე გარე რესურსით. აღნიშნული მოიცავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების, საბაზრო კამპანიების, ბაზრის კვლევებს სხვადასხვა ქრილში, პროდუქციის ნომენკლატურის წარმოების, მომსახურების მიმოხილვის, პროგნოზების, მიზანშეწონილობის კვლევების განვითარებას და დანერგვას ახალი მაღაზიების გახსნისა და სხვა საქმიანობისთვის, რაც მზადდება, როგორც კომპანიის ფარგლებში სხვადასხვა უფლებამოსილი პირების / დეპარტამენტების მჭიდრო თანამშრომლობით ასევე „აუთსორსინგით“.

სამომავლო გეგმები და სამოქმედო გეგმა

2023 წლის მდგომარეობით მიმდინარეობს კომპანიის სტრატეგიის ცვლილება, რის შესაბამისადაც კომპანია გადადის ბიზნესის ახალ ფორმატზე. ბრიკო კავკასუსს დაგეგმილი აქვს რებრენდინგი, რეალიზაციიდან იღებს მძიმე სამშენებლო მასალებს და კონცენტრაციას აკეთებს რემონტის შემდგომ სახლისთვის და ეზოსთვის საჭირო პროდუქციაზე, მათ შორის მოხდება ახალი მიმართულების ეზოს ავეჯის კატეგორიის დამატება.

ხელმოწერილია

კახაბერ სონიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი



2023 წლის 29 ნოემბერი